ქალაქ თბილისის მთავრობის

დადგენილება №31.19.1451

2010 წლის 22 ნოემბერი

ქ. თბილისი

ქ. თბილისის მერიის საგანგებო სიტუაციების საქალაქო სამსახურის რეორგანიზაციის (გარდაქმნის) და გარდაქმნის საფუძველზე ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოს შექმნისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 23[1] მუხლის „ზ“ და „კ“ ქვეპუნქტების, 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 32[1] მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, ქ. თბილისის საკრებულოს 2006 წლის 12 ოქტომბრის №1-1 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მერიის დებულების მე-14 მუხლის „ე“ და „ვ[1]“ ქვეპუნქტების შესაბამისად, ქ. თბილისის მთავრობა **ადგენს:**

1. განხორციელდეს ქ. თბილისის მერიის საგანგებო სიტუაცების საქალაქო სამსახურის რეორგანიზაცია (გარდაქმნა) და გარდაქმნის საფუძველზე შეიქმნას ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტო.
2. დამტკიცდეს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოს თანდართული წესდება (დებულება).
3. ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტო წარმოადგენს ქ. თბილისის მერიის საგანგებო სიტუაციების საქალაქო სამსახურის უფლებამონაცვლეს.
4. დადგენილება ძალაში შედის 2010 წლის 1 დეკემბრიდან.

ქ. თბილისის მერი **გ. უგულავა**

შეტანილი ცვლილებები:

1. ქალაქ თბილისის მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №35.06.1601 - სსმ V, №72, 31.12.2010 წ., მუხ.2155

2. ქალაქ თბილისის მთავრობის 2011 წლის 18 მაისის დადგენილება №12.02.466 - ვებგვერდი, 23.05.2011 წ.

3. ქალაქ თბილისის მთავრობის 2011 წლის 30 მაისის დადგენილება №13.02.501 - ვებგვერდი, 06.06.2011 წ.

დანართი

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოს წესდება (დებულება)

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტო (შემდგომში – სააგენტო) არის ქალაქ თბილისის მერიის მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად.

2. სააგენტოს სრული სახელწოდებაა: „ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტო“. სააგენტო უფლებამოსილია გამოიყენოს სააგენტოს შემოკლებული დასახელება „სსიპ – საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტო“.

3. სააგენტო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე დებულებით.

4. სააგენტო ანგარიშვალდებულია ქალაქ თბილისის მთავრობის წინაშე, „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ” საქართველოს კანონით და ამ წესდებით (დებულებით) დადგენილ ფარგლებში და წესით.

5. სააგენტო საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს, საკუთარი სახელით გამოდის მესამე პირებთან ურთიერთობაში, ასევე სასამართლოში.

6. სააგენტოს აქვს დამოუკიდებელი აქტივები, ბალანსი, საბანკო ანგარიში, ემბლემა, ბეჭედი და იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

მუხლი 2. სააგენტოს მიზნები და ფუნქციები

1. სააგენტოს საქმიანობის მიზნებია:

ა) მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით ქ. თბილისის ადმინისტრაციულ ტერიტორიულ საზღვრებში ერთიანი საჯარო ხელისუფლების განხორციელება;

ბ) საკუთარ კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე დაინტერესებულ პირთათვის ეფექტური, მოქნილი და სრულყოფილი მომსახურების შეთავაზება.

2. სააგენტოს ძირითადი ფუნქციებია:

ა) სახანძრო-სამაშველო ოპერაციების განხორციელება შესაბამისი ძალებით;

ბ) სამოქალაქო თავდაცვის ამოცანების განხორციელება ტერიტორიულ ფარგლებში;

გ) საგანგებო სიტუაციების (მათ შორის – ხანძრების) აღრიცხვა და სტატისტიკის წარმოება;

დ) სახანძრო უსაფრთხოების ღონისძიებათა ორგანიზება;

ე) საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების სამსახურების ორგანიზება და მათი საქმიანობის კოორდინირება;

ვ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ჰუმანიტარული ტვირთების განაწილებაში მონაწილეობა;

ზ) საგანგებო სიტუაციების პრევენციულ ღონისძიებებში მონაწილეობა;

თ) საგანგებო სიტუაციების ან მათი წინმსწრები მოვლენების შესახებ არსებული ინფორმაციის დაფიქსირება, დადგენილი სპეციალური ფორმით წარდგენა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტში;

ი) შესაბამის ტერიტორიულ საზღვრებში საგანგებო სიტუაციებით გამოწვეული დამაზიანებელი ფაქტორების ზემოქმედებისაგან მოსახლეობის დაცვის მიზნით, მოსახლეობის დაცვის ინდივიდუალური და კოლექტიური საშუალებების (დამცავი ნაგებობების: თავშესაფრები, მართვის პუნქტები, მეტროპოლიტენი, სამთო გამონამუშევრები, გამოქვაბულები, გვირაბები, მიწისქვეშა გადასასვლელები და სხვ.) გამოყენების, მათი მუდმივი მზადყოფნისა და საევაკუაციო ღონისძიებათა დაგეგმვის ორგანიზება შესაბამისი ინსტრუქციების მიხედვით;

კ) საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმების შემუშავება და სრულყოფა;

ლ) საგანგებო სიტუაციების განვითარების შემთხვევაში წინასწარ დამტკიცებული გეგმების შესაბამისად ოპერაციებში მონაწილეობა;

მ) საშიში საწარმოო ობიექტების უსაფრთხოების დეკლარაციის მიღება, ანალიზი და სათანადო რეკომენდაციების შემუშავება ცენტრალურ ორგანოსთან კოორდინაციით;

ნ) სახანძრო-სამაშველო დანაყოფის აღრიცხვა;

ო) შემოსულ საგანგებო ზარებზე პირველადი რეაგირება;

პ) დისლოკაციის ადგილზე სახანძრო-სამაშველო დანაყოფების 24-საათიანი მორიგეობისა და მათი მუდმივი მზადყოფნის უზრუნველყოფა საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისათვის;

ჟ) კომპლექსურ და სპეციალურ ვარჯიშებში მონაწილეობა;

რ) საგანგებო სიტუაციების სალიკვიდაციო სამუშაოების განხორციელება;

ს) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვაზე კონტროლის განხორციელება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ტ) საგანგებო სიტუაციების შედეგების სალიკვიდაციოდ გამოყოფილი ძალებისა და საშუალებების გამოყენებაზე ოპერატიული ხელმძღვანელობა;

უ) ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობის ორგანიზება და განხორციელება იმ ორგანიზაცია-დაწესებულებებში, რომლებიც ექვემდებარებიან ზედამხედველობას;

ფ) ხანძრების პროფილაქტიკის ორგანიზება და განხორციელება, მათი ჩაქრობა და დაკისრებული საავარიო-სამაშველო სამუშაოების ჩატარება;

ქ) დაქვემდებარებულ დანაყოფებში ხანძრის ჩაქრობისა და საავარიო-სამაშველო სამუშაოების ჩატარების ორგანიზებისა და განხორციელების წესის შესრულების, ტაქტიკური და პროფესიული მომზადების ხარისხის კონტროლი;

ღ) სამოქალაქო თავდაცვის ღონისძიებების ორგანიზება ავარიებით, კატასტროფებითა და სტიქიური უბედურებით გამოწვეული საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილებისა და შედეგების ლიკვიდაციის მიზნით;

ყ) მდინარეებზე, ტბებზე, წყალსაცავებზე სამაშველო ღონისძიებების განხორციელება ადამიანების სიცოცხლის დაცვის მიზნით;

შ) წყალქვეშა ტექნიკური და სხვა საძიებო (სამყვინთაო) სამუშაოების ჩატარება;

ჩ) უწყებების, წარმოება-დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელობის, აგრეთვე მოსახლეობის ინფორმირება საგანგებო სიტუაციებში მათი ქცევისა და მოქმედების აუცილებელი წესების თაობაზე;

ც) საგანგებო სიტუაციების სალიკვიდაციო სამუშაოების განხორციელება და ამ მიზნით აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, სათანადო ძალებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა;

ძ) მიღებული სპეციალური ნებართვების ფარგლებში მოსახლეობისათვის პირველადი პრეჰოსპიტალური სამედიცინო დახმარების გაწევა;

წ) მოსახლეობის სამედიცინო დახმარების მეთოდებისა და პირობების სრულყოფა, საქართველოში გამოყენებული ნებადართული სამკურნალო მეთოდებისა და სამკურნალო წამლების საშუალებების ფარგლებში.

3. სამსახურს, თავისი ფუნქციების შეუფერხებლად რეალიზაციის მიზნით, უფლება აქვს:

ა) წარადგინოს წინადადებები აღმასრულებელი ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებში სახანძრო უსაფრთხოების, საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე;

ბ) კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოს, მშენებლობის გამცემი უფლებამოსილი ორგანოს წარდგინებით, მშენებლობისა და ტექნიკური გადაიარაღების საპროექტო დოკუმენტაციის განხილვა, სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით;

გ) განახორციელოს ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობას დაქვემდებარებულ ობიექტებში სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნათა შესრულების კონტროლი;

დ) სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნათა შესრულებაზე კონტროლისა და დარღვევების აღკვეთის მიზნით, განახორციელოს ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობას დაქვემდებარებული ობიექტების სახანძრო-ტექნიკური გამოკვლევა და შემოწმება;

ე) გასცეს შესასრულებლად სავალდებულო მიწერილობები ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობის წესების დარღვევის აღმოსაფხვრელად;

ვ) მთლიანად ან ნაწილობრივ შეაჩეროს ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობას დაქვემდებარებული ობიექტის ექსპლუატაცია, თუ გამოავლენს სახანძრო უსაფრთხოების

მოთხოვნათა დარღვევებს ან მათ შეუსრულებლობას, რაც ქმნის ხანძრის გაჩენის საშიშროებას ანდა ემუქრება ადამიანთა უსაფრთხოებას;

ზ) კანონით დადგენილი წესით, დააკისროს ადმინისტრაციული სახდელი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნათა დარღვევისათვის;

თ) ნებისმიერი ორგანოსა და პირისაგან მიიღოს საჭირო ინფორმაცია, განმარტებები და ცნობები იმ საქმეებთან და მასალებთან დაკავშირებით, რომლებიც შეეხება საგანგებო სიტუაციებსა და სამოქალაქო თავდაცვის საკითხებს;

ი) დედაქალაქის ბიუჯეტის შედგენისას შეიმუშაოს სამსახურისა და დაქვემდებარებული დანაყოფების ხარჯთანუსხა და წარადგინოს ქალაქის მთავრობაში;

კ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ზედამხედველობა გაუწიოს უწყებებს, საწარმოებსა და ორგანიზაცია-დაწესებულებებს სამოქალაქო თავდაცვის საკითხებში;

ლ) კოორდინაცია გაუწიოს საგანგებო სიტუაციების შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებს, განახორციელოს მათზე ზედამხედველობა, განსაზღვროს საჭირო ძალები და საშუალებები;

მ) მონაწილეობა მიიღოს საგანგებო სიტუაციების შედეგად წარმოქმნილი მატერიალური ზარალის განსაზღვრაში, ქალაქ თბილისის მასშტაბით;

ნ) თავის გამგებლობაში შემავალ საკითხებზე ითანამშრომლოს ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტთან შეთანხმებით;

ო) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის რეკომენდაციებით, საზღვარგარეთ მიავლინოს სპეციალისტები კვალიფიკაციის ასამაღლებლად, გამოცდილების შესაძენად, კონფერენციებსა და სხვა შეკრებებში მონაწილეობის მისაღებად;

პ) განახორციელოს კონტროლი სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებების შესრულებაზე, რისთვისაც გამოყოფს კოორდინატორს ან თანამშრომელთა შემადგენლობით ქმნის სპეციალური ინსპექტირების ჯგუფს;

ჟ) მისაწოდებელი ან/და მიწოდებული საქონლის, სამუშაოების, მომსახურების მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ და შესაბამისი ინსპექტირების ჯგუფის დასკვნის საფუძველზე, გააფორმოს მიღება-ჩაბარების აქტები;

რ) განახორციელოს მოქმედი კანონდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებანი.

4. სამსახური უფლებამოსილია, კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადით, გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე განახორციელოს ამ წესდებით განსაზღვრული, მის კომპეტენციას მიკუთვნული საქმინაობა.

ქალაქ თბილისის მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №35.06.1601 - სსმ V, №72, 31.12.2010 წ., მუხ.2155

ქალაქ თბილისის მთავრობის 2011 წლის 18 მაისის დადგენილება №12.02.466 - ვებგვერდი, 23.05.2011 წ.

მუხლი 3. სააგენტოს ხელმძღვანელობა

1. სააგენტოს ხელმძღვანელობს სააგენტოს უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ქალაქ თბილისის მთავრობა.

2. სააგენტოს უფროსის არყოფნის შემთხვევაში მის უფლებამოსილებას მისივე წერილობითი დავალებით ახორციელებს საგენტოს უფროსის ერთ-ერთი მოადგილე.

მუხლი 4. სააგენტოს უფროსი

1. სააგენტოს უფროსი:

ა) წარმოადგენს სააგენტოს;

ბ) ხელმძღვანელობს და წარმართავს სააგენტოს საქმიანობას;

გ) უზრუნველყოფს სააგენტოს სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმიანობის კონტროლს და ახორციელებს მათ მეთოდურ ხელმძღვანელობას;

დ) ქალაქ თბილისის მთავრობის თანხმობით, განსაზღვრავს და ამტკიცებს სააგენტოს საშტატო ნუსხას, თანამდებობრივი სარგოების ოდენობას;

ე) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სააგენტოს თანამშრომლებს, დებს მათთან შრომით ხელშეკრულებებს, მათ მიმართ გამოიყენებს წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომებს;

ვ) კანონმდებლობის შესაბამისად, გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს – ბრძანებებს;

ზ) იწვევს სპეციალისტებს ხელშეკრულების საფუძველზე კონკრეტული საქმიანობის განხორციელების მიზნით;

თ) ამტკიცებს სააგენტოს შინაგანაწეს;

ი) ამტკიცებს თანამდებობრივ ინსტრუქციებს;

კ) სამსახურში სტაჟირების გავლის მიზნით, ნიშნავს და ათავისუფლებს სტაჟიორებს;

ლ) ანაწილებს მოვალეობებს სააგენტოს თანამშრომლებს შორის, აძლევს მათ სათანადო მითითებებსა და დავალებებს, აკონტროლებს სამსახურის თანამშრომელთა მიერ მოვალეობების შესრულებას;

მ) თვალყურს ადევნებს დაკისრებულ მოვალეობათა შესრულების მიმდინარეობას;

ნ) ქალაქ თბილისის მთავრობას დასამტკიცებლად წარუდგენს სააგენტოს ბიუჯეტის პროექტს;

ო) შუამდგომლობს ქალაქ თბილისის მთავრობის წინაშე იმ სახსრებისა და მატერიალური ფასეულობების გამოყოფის შესახებ, რომლებიც საჭიროა სამსახურის ამოცანების შესასრულებლად;

პ) იღებს გადაწყვეტილებებს სააგენტოს სახსრებისა და მატერიალური ფასეულობების განკარგვის შესახებ, რომლებიც საჭიროა სააგენტოს ამოცანების შესასრულებლად;

ჟ) სააგენტოს წინაშე არსებული საკითხების ეფექტურად გადაწყვეტის მიზნით, უფლებამოსილია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, შექმნას სამუშაო ჯგუფები, შესაბამისი რეკომენდაციების მოსამზადებლად;

რ) ქალაქ თბილისის მთავრობის მოთხოვნის შემთხვევაში, წარუდგენს ანგარიშს სააგენტოს საქმიანობის შესახებ;

ს) ხელს აწერს სააგენტოს სახელით დადებულ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს;

ტ)წარმოადგენს სააგენტოსა და მოქმედებს მისი სახელით ოფიციალურ ურთიერთობებში, ასრულებს სხვა წარმომადგენლობით ფუნქციებს;

უ) ახორციელებს სხვა ადმინისტრაციულ ფუნქციებს;

ფ) ახორციელებს ამ დებულებითა და კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

მუხლი 5. სააგენტოს უფროსის მოადგილეები

1. სააგენტოს უფროსს ჰყავს მოადგილეები.

2. სააგენტოს უფროსის თითოეული მოადგილე:

ა) ხელმძღვანელობს მისთვის მინდობილ სფეროს;

ბ) ახორციელებს ცალკეულ უფლებამოსილებებს;

გ) სააგენტოს უფროსის მიერ (ბრძანების საფუძველზე) მისთვის განსაზღვრულ დაქვემდებარებულ საკითხებზე ახორციელებს სამსახურებრივ ზედამხედველობას.

მუხლი 6 . სააგენტოს სტრუქტურა:

1. სააგენტო შედგება დეპარტამენტებისა და განყოფილებებისგან. დეპარტამენტები, თავის მხრივ, შედგება განყოფილებებისგან.

2. ადმინისტრაციული დეპარტამენტი:

საორგანიზაციო განყოფილება.

3. ზედამხედველობის დეპარტამენტი:

ზედამხედველობის, სამოქალაქო უსაფრთხოებისა და საინფორმაციო–ანალიტიკური განყოფილება.

4. ოპერატიული მართვის დეპარტამენტი:

ა) სამაშველო განყოფილება;

ბ) ხანძარსაწინააღმდეგო ოპერატიული განყოფილება.

5. (ამოღებულია - 30.05.11 №13.02.201).

6. მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება.

7. საფინანსო განყოფილება.

8. შესყიდვების განყოფილება.

9. 011 ცენტრალური სადისპეჩერო (განყოფილება).

10. 033 ცენტრალური სადისპეჩერო განყოფილება.

11. დიდგორის რაიონული განყოფილება (რაზმი), მასში შემავალი ორი ხანძარსაწინააღმდეგო ნაწილით (ასეული).

12. ისანი-სამგორის რაიონული განყოფილება (რაზმი), მასში შემავალი ხუთი ხანძარსაწინააღმდეგო (ასეული), ერთი სამაშველო (ასეული) და ორი სამედიცინო ნაწილით.

13. დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული განყოფილება (რაზმი), მასში შემავალი ერთი ხანძარსაწინააღმდეგო (ასეული), ერთი სამაშველო (ასეული) და ორი სამედიცინო ნაწილით.

14. ვაკე-საბურთალოს რაიონული განყოფილება (რაზმი), მასში შემავალი ერთი ხანძარსაწინააღმდეგო (ასეული), ერთი სამაშველო (ასეული), ერთი კავშირგაბმულობის და ოთხი სამედიცინო ნაწილით.

15. გლდანი-ნაძალადევის რაიონული განყოფილება (რაზმი), მასში შემავალი ერთი ხანძარსაწინააღმდეგო (ასეული), ერთი სამაშველო (ასეული) და სამი სამედიცინო ნაწილით.

16. ძველი თბილისის რაიონული განყოფილება (რაზმი), მასში შემავალი სამი ხანძარსაწინააღმდეგო (ასეული), ერთი სამაშველო (ასეული) და ერთი სამედიცინო ნაწილით.

17. ადმინისტრაციული დეპარტამენტის ძირითადი ფუნქციები და ამოცანებია:

ა) საკადრო საქმიანობის წარმართვა;

ბ) საინფორმაციო ბანკის ფორმირება და ეტაპობრივი შევსება;

გ) სააგენტოსათვის სამართლებრივი მომსახურების გაწევა;

დ) არქივის წარმოება.

18. ზედამხედველობის დეპარტამენტის ძირითადი ფუნქციები და ამოცანებია:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო და სამოქალაქო თავდაცვის ზედამხედველობის განხორციელება, შემთხვევებისა და მათი შედეგების აღრიცხვა;

ბ) საგანგებო სიტუაციების პროფილაქტიკის მიზნით, საზოგადოების ინფორმირების ორგანიზება საგანგებო სიტუაციების წესებთან დაკავშირებით;

გ) საგანგებო სიტუაციების სალიკვიდაციო ღონისძიებების სამოქალაქო თავდაცვის გეგმების შემუშავება და განხორციელების ორგანიზება, ქალაქ თბილისის მაშტაბით.

19. ოპერატიული მართვის დეპარტამენტის ძირითადი ფუნქციები და ამოცანებია:

ა) შემოსული ინფორმაციის დამუშავება;

ბ) ოპერატიული კავშირგაბმულობის უზრუნველყოფა.

გ) საგანგებო სიტუაციების სალიკვიდაციო წარმოების ორგანიზება.

დ) წყალსა (მდინარეები, ტბები, წყალსაცავები) და ხმელეთზე სამაშველო ღონისძიებების ორგანიზება და განხორციელება;

ე) ხანძარსაწინააღმდეგო სამუშაოების წარმოების ორგანიზება.

20. საფინანსო განყოფილების ძირითადი ფუნქციები და ამოცანებია:

სააგენტოს საფინანსო-საბუღალტრო დოკუმენტაციის, საბალანსო ერთეულების, აგრეთვე, ფულადი სახსრების მოძრაობის გაფორმება, აღრიცხვა და ანგარიშგება.

21. შესყიდვების განყოფილების ძირითადი ფუნქციები და ამოცანებია:

შესყიდვების განხორციელება.

22. (ამოღებულია - 30.05.11 №13.02.201).

23. მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების ძირითადი ფუნქციები და ამოცანებია:

ქონების აღრიცხვა, მიზნობრივი ხარჯვა და ექსპლუატაცია.

24. 011 ცენტრალური სადისპეჩეროს (განყოფილება) ძირითადი ფუნქციები და ამოცანებია: კომპეტენციის ფარგლებში, მოქალაქეთა სატელეფონო ზარების მიღება და მათზე სათანადო რეაგირება.

25. 033 ცენტრალური სადისპეჩეროს (განყოფილება) ძირითადი ფუნქციები და ამოცანებია: კომპეტენციის ფარგლებში, მოქალაქეთა სატელეფონო ზარების მიღება და მათზე სათანადო რეაგირება.

26. რაიონული განყოფილებების (რაზმები) ძირითადი ფუნქციები და ამოცანებია:

ა) საგანგებო სიტუაციების პროფილაქტიკა;

ბ) ხანძრების ჩაქრობა;

გ) საავარიო-სამაშველო სამუშაოების წარმოება;

დ) მოსახლეობისათვის გადაუდებელი და აუცილებელი პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევა.

ქალაქ თბილისის მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №35.06.1601 - სსმ V, №72, 31.12.2010 წ., მუხ.2155

ქალაქ თბილისის მთავრობის 2011 წლის 30 მაისის დადგენილება №13.02.501 - ვებგვერდი, 06.06.2011 წ.

მუხლი 7. სააგენტოს სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა უფლებამოსილებები

1. დეპარტამენტის უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს დეპარტამენტის საქმიანობას;

ბ) ანაწილებს მოვალეობებს დეპარტამენტის თანამშრომლებს შორის, აძლევს დავალებებსა და მითითებებს;

გ) ახორციელებს კონტროლს დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებაზე;

დ) ხელს აწერს ან ვიზას ადებს დეპარტამენტში მომზადებულ დოკუმენტებს;

ე) სააგენტოს უფროსს წარუდგენს ანგარიშს დეპარტამენტის საქმიანობის შესახებ;

ვ) სააგენტოს უფროსს წარუდგენს წინადადებებს დეპარტამენტის თანამშრომელთა წახალისებისა და მათზე დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე;

ზ) სააგენტოს უფროსის დავალებით ასრულებს სხვა დავალებებს.

2. დეპარტამენტის განყოფილების უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს განყოფილების საქმიანობას;

ბ) ანაწილებს მოვალეობებს განყოფილების თანამშრომელთა შორის, აძლევს მათ დავალებებსა და მითითებებს;

გ) ახორციელებს კონტროლს განყოფილების თანამშრომლების მიერ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაზე;

დ) ახდენს ვიზირებას განყოფილებაში მომზადებულ დოკუმენტებზე;

ე) დეპარტამენტის უფროსს წარუდგენს ანგარიშს განყოფილების საქმიანობის შესახებ;

ვ) დეპარტამენტის უფროსის მითითებით ასრულებს სხვა დავალებებს.

3.რაიონული განყოფილებას ყავს უფროსი და უფროსის მოადგილეები.

4. რაიონული განყოფილების უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს რაიონული განყოფილების საქმიანობაზე;

ბ) ანაწილებს მოვალეობებს რაიონული განყოფილების უფროსის მოადგილეებსა და თანამშრომელთა შორის, აძლევს მათ დავალებებსა და მითითებებს;

გ) ახორციელებს კონტროლს რაიონული განყოფილების თანამშრომლების მიერ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაზე;

დ) ახდენს ვიზირებას რაიონულ განყოფილებაში მომზადებულ დოკუმენტებს;

ე) სააგენტოს უფროსს წარუდგენს ანგარიშს რაიონული განყოფილების საქმიანობის შესახებ;
ვ) სააგენტოს უფროსის მითითებით ასრულებს სხვა დავალებებს.

მუხლი 8. სააგენტოს ქონება

1. სააგენტოს გააჩნია ქონება, რომელიც მას გადაეცემა „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

2. სააგენტოს ქონებას შეადგენს ძირითადი საბრუნავი საშუალებები, აგრეთვე სხვა მატერიალური ფასეულობა და ფინანსური რესურსები.

მუხლი 9. სააგენტოს ფინანსები

სააგენტოს დაფინანსების წყაროებია:
ა) ქალაქ თბილისის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;
ბ) სააგენტოს მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავლები;
გ) მიზნობრივი კრედიტები და გრანტები;
დ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

მუხლი 10. სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება

1. სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში.

2. საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტს ქალაქ თბილისის მერი.

მუხლი 11. სახელმწიფო კონტროლი

სააგენტოს მაკონტროლებელი ორგანოა ქალაქ თბილისის მთავრობა, რომელიც სარგებლობს ყველა იმ უფლებით, რაც „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად გააჩნია სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოს.

მუხლი 12. სააგენტოს რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია

სააგენტოს რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია ხორციელდება კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

მუხლი 13. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

1. სააგენტო ვალდებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოს ქ. თბილისის მერიის საგანგებო სიტუაციების საქალაქო სამსახურის მიერ გამოცხადებული ან/და ჩატარებული შესყიდვების პროცედურების დასრულება.

2. ამ დებულების გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით, ქალაქ თბილისის მთავრობის დადგენილებით.